

მრავალმხრივი ხელშეკრულება  
ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ  
საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებს  
შორის

პრეამბულა

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრები (შემდგომში- "მხარეები"):

- ითვალისწინებენ რა მხარეებს შორის 2013 წლიდან დამყარებულ მჭიდრო კავშირებსა და დეკლარირებულ საერთო ღირებულებებს და აღიარებენ რა მხარეთა საერთო სურვილს, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები;
- აცნობიერებენ და იზიარებენ რა პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს;
- მიიჩნევენ რა კერძო კოლეჯებს ქვეყნის პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის მნიშვნელოვან ნაწილად;
- გამოთქვამენ თანამშრომლობის სურვილს, იმის შეგნებით, რომ სამოქალაქო საზოგადოების აშენება, დასავლურ სამყაროსა და ევროკავშირთან ინტეგრირება ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების სტრატეგიული პრიორიტეტია, ეს მიზანი კი მიიღწევა დასავლური სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და მომზადების სპეციალისტების აღზრდით;
- დარწმუნებულნი, რომ ასეთი სპეციალისტების აღზრდა შეუძლებელია კონკრეტული გარემოს შექმნის, საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური, პროგრამული თუ მორალური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გარეშე;
- იმის აღიარებით, რომ მორალური მხარდაჭერა და ხელშეწყობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, მხარეთა კორპორაციული ურთიერთობის კულტურის დანერგვასა და განვითარებას;

- საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კოლეჯების პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და მსმენელთა თანამშრომლობის ხელშეწყობას,
- მიზნად ისახავენ რა შექმნან კერძო კოლეჯების კორპორაციული მართვის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემა;
- აღიარებენ რა, რომ პროფესიული განათლების სისტემის განვითარება და ამ სისტემაში კერძო კოლეჯების როლის გამოკვეთა განგრძობითი პროცესია,
- სჯერათ რა, რომ კერძო კოლეჯების თანამშრომლობა უნდა იყოს გამჭვირვალე, სარწმუნო და ერთმანეთის ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული;
- აღიარებენ რა, რომ სისტემის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში;
- ითვალისწინებენ რა პროფესიული განათლების სფეროში შეთანხმებული პრინციპებისა და ერთიანი მიდგომის აუცილებლობას;
- გაერთიანებულნი იდებიან, რომ ყოველგვარი ინიციატივა ნაყოფიერია, თუ იგი სახელმწიფო და კერძო კოლეჯების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება; უერთდებიან წინამდებარე ხელშეკრულებას:

#### მუხლი 1 მიზნები

წინამდებარე ხელშეკრულების მიზანია, ხელი შეუწყოს:

1. მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას;
2. პროფესიული განათლების ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრებას;
3. მხარეთა უწყვეტ განვითარებას და ხარისხის კულტურის დამკვიდრებას სხვადასხვა მიმართულებით;
4. პროფესიული კვალიფიკაციების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას;
5. მათი საქმიანობის განხორციელების ეფექტურობას და ამ მიზნით რესურსების კონსოლიდაციას;
6. სისტემის დონეზე ერთიანი მიდგომების დანერგვას;

#### მუხლი 2

თანამშრომლობა სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული განვითარების საკითხებში

მხარეები თანხმდებიან, რომ იქ, სადაც შესაძლებელია, ითანამშრომლებენ სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული განვითარების საკითხებში, რაც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. ითანამშრომლებენ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და მოახდენენ საერთო სტრატეგიული მიზნების იდენტიფიცირებას, რათა შესაძლებელი გახდეს

- გაერთიანებული რესურსებით მიზნების ეფექტური მიღწევა და რესურსების კონსოლიდაცია, რაც მისაღები იქნება ყველა მხარისათვის;
2. ითანამშრომლებენ სტრატეგიული დაგეგმვის, მისი შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის, ასევე მასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავებისა და დაახლოვების საკითხებში;
  3. საჭიროების შემთხვევაში, როგორც დაინტერესებული მხარე, ჩაერთვება დაგეგმვისა და განვითარების მონიტორინგის პროცესში.

### მუხლი 3

#### თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განხორციელების საკითხებში

მხარეები თანხმდებიან, რომ იქ, სადაც შესაძლებელია, ითანამშრომლებენ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განხორციელების საკითხებში, რაც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. ითანამშრომლებენ განსახორციელებელი პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების უზრუნველსაყოფად, ამ მიზნით განახორციელებენ ერთობლივ კვლევებს და გაუზიარებენ ერთმანეთს მათ ხელთ არსებული კვლევების შედეგებს;
2. ითანამშრომლებენ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავებისა და დაახლოვების საკითხებში, ამ მიზნით მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილების გაცვლის მიზნით გამართულ შეხვედრებში;
3. ითანამშრომლებენ პროგრამების განვითარების საკითხებში, მონაწილეობას მიიღებენ გამგეობის მიერ საჭირო ცვლილებების ინიცირების პროცესში;
4. ითანამშრომლებენ შრომის ბაზარზე არსებული, ან სამომავლო უნარების, ან კვალიფიკაციების ინიცირების საკითხებში.
5. ითანამშრომლებენ ერთნაირი პროგრამების ფარგლებში სწავლებისა და შეფასების მიდგომებთან დაკავშირებით საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიმართულებით;
6. ითანამშრომლებენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, დახვეწის, ვერიფიკაციის პროცესში;
7. ითანამშრომლებენ საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების საკითხებში, მათ შორის საგამოცდო კომისიებში მხარეთა კვალიფიციური კადრების ჩართვის ან ერთობლივი საგამოცდო პროცესის ორგანიზების მიმართულებით;
8. ითანამშრომლებენ პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ან სხვა კვალიფიციური კადრების ურთიერთდახმარების გზით;
9. მხარეები, სადაც შესაძლებელია ითანამშრომლებენ ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიმართულებით, ხელს შეუწყობენ ერთმანეთის პროგრამების განხორციელებას ადამიანური და მატერიალური რესურსის დროებით გაზიარების გზით, იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას რომელიმე

მხარის სასწავლო პროცესს. ეს შესაძლოა განხორციელდეს სტუმარი მასწავლებლის ან სტუმარი სტუდენტის მიდგომის ან სხვა მიდგომების გამოყენებით.

#### მუხლი 4

თანამშრომლობა პროფესიული სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხებში

მხარეები თანხმდებიან, რომ იქ, სადაც შესაძლებელია, ითანამშრომლებენ პროფესიული სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხებში, რაც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. მხარეები ვალიდურად და სანდოდ მიიჩნევენ ერთმანეთის მიერ განხორციელებულ შეფასებას, დადასტურებულ სწავლის შედეგებს და მინიჭებულ კრედიტებს და საჭიროების შემთხვევაში, მათი აღიარებისას არ მიიჩნევენ საჭიროდ დამატებითი გამოცდის ორგანიზებას და სხვა სახის დამატებით დოკუმენტაციას, გარდა მხარის მიერ, აღნიშნულის თაობაზე ოფიციალურად გაცემული დამადასტურებელი დოკუმენტისა.
2. მხარეები ხელს შეუწყობენ, მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურებით, პროფესიულ სტუდენტთა მობილობას კანონმდებლობით დადგენილი წესით და სადაც შესაძლებელია განხორციელებენ მხარეებთან მიღებული განათლების აღიარებას;
3. მხარეები მობილობისას, კანონმდებლობით დადგენილი წესის ფარგლებში, სხვა თანაბარ პირობებში, უპირატესობას მიანიჭებენ ამ ხელშეკრულების მხარის პროფესიულ სტუდენტებს;
4. მხარეები, შესაძლებლობის შემთხვევაში, მობილობით მოსარგებლე პროფესიულ სტუდენტს შეუნარჩუნებენ სწავლის მანამდე არსებულ ან მასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებს;
5. მხარეები ითანამშრომლებენ აპლიკანტების, პროფესიული სტუდენტების ან კურსდამთავრებულთა პროფესიული ორიენტაციის, საკონსულტაციო ან კარიერული განვითარების ერთიანი სერვისების დანერგვის, ან კვლევების გაერთიანებული რესურსებით, ან ერთიანი პლატფორმის მეშვეობით განხორციელების მიმართულებით;
6. მხარეები ითანამშრომლებენ პროფესიული სტუდენტების ექსტრაკურიკულური აქტივობების ერთობლივი რესურსებით ორგანიზების, ან დაწესებულების პროფილის შესაბამისად, საკუთარი რესურსებით ცალკეულ მეორე მხარის სტუდენტთა ინტერესებისა და ინიციატივების რეალიზების ხელშეწყობის მიმართულებით.

#### მუხლი 5

თანამშრომლობა ადამიანური რესურსების საკითხებში

მხარეები თანხმდებიან, რომ იქ, სადაც შესაძლებელია, ითანამშრომლებენ ადამიანური რესურსების საკითხებში, რაც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. მხარეები ფორს-მაჟორულ გარემოებებში პროგრამის განხორციელების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, ერთმანეთს გაუწევენ დახმარებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით უზრუნველყოფის მიმართულებით, პერსონალთან შეთანხმებით;
2. მხარეები ითანამშრომლებენ კონკურსის წესით პერსონალის შერჩევის პროცესში;
3. მხარეები ითანამშრომლებენ პერსონალის კვლევის და მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიმართულებით.
4. მხარეები ითანამშრომლებენ ერთიანი რესურსებით პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარების მიმართულებით, მათ შორის ერთობლივი ტრენინგების, გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების და სხვა ღონისძიებათა ორგანიზების გზით;
5. მხარეები საკუთარი პროფილის შესაბამისად, ერთანეთს გაუწევენ ადმინისტრაციული რესურსების განვითარების მომსახურებას;

## მუხლი 6

თანამშრომლობა მატერიალური რესურსების და მომსახურების მიმართულებით

მხარეები თანხმდებიან, რომ იქ, სადაც შესაძლებელია, ითანამშრომლებენ თავსებადი, ერთნაირი მახასიათებლის მქონე მატერიალური რესურსების ან მომსახურების კონსოლიდირებულად შესყიდვის მიმართულებით;

## მუხლი 7

თანამშრომლობა საბიბლიოთეკო საქმეში

მხარეები თანხმდებიან, რომ იქ, სადაც შესაძლებელია, ითანამშრომლებენ საბიბლიოთეკო საქმეში, რაც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. მხარეთა პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს მისცემენ ერთანეთის საბიბლიოთეკო რესურსებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლებას, მათ მიერ მხარის სტუდენტის ან თანამშრომლის სტატუსის დადასტურების შემთხვევაში;
2. ერთმანეთს მიაწვდიან ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს, გონივრულ ვადებში;
3. საბიბლიოთეკო რესურსების გატანის წესების დაცვით, ერთმანეთს მისცემენ საბიბლიოთეკო ფონდებში მატერიალურად არსებული რესურსების გამოყენების/დროებით გატანის შესაძლებლობას, იმგვარად, რომ უწყვეტ რეჟიმში იყოს უზრუნველყოფილი მხარის სტუდენტებისა და პერსონალის მიერ აღნიშნული რესურსის სხვა ეგზემპლარებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლება.

4. საკუთარ კონტრუბუციას შეიტანენ ასოციაციის ერთიანი ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელის შექმნის საქმეში, რომელზეც თანაბარი და შეუზღუდავი წვდომა ექნება ხელშეკრულების ყველა მხარეს.

#### მუხლი 8

თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მხარეები თანხმდებიან, რომ იქ, სადაც შესაძლებელია, ითანამშრომლებენ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, რაც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. ჩაერთვებიან ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელების პროცესში;
2. საჯაროს გახდიან მარეგულირებელი/გადაწყვეტილების მიმღები უწყებებისაგან მიღებულ განმარტებებს და რეკომენდაციებს, რაც შესაძლებელია არსებითი იყოს სისტემის დონეზე ერთიანი მიდგომების დასანერგად;
3. მხარეებს გაუზიარებენ მათ დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებისას ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.
4. მონაწილეობას მიიღებენ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე გამართულ საინფორმაციო შეხვედრებში, ერთიანი რესურსებით ორგანიზებას გაუწვენ ტრენინგებს.

#### მუხლი 9

თანამშრომლობა უფლებების, იმიჯის ან/და საქმიანი რეპუტაციის შელახვის წინააღმდეგ

1. მხარეები ითანამშრომლებენ მხარის ან ასოციაციის კანონიერი უფლებების, იმიჯის ან/და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტების წინააღმდეგ;
2. მხარეებს უფლება აქვთ ამ მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში მოითხოვონ მტკიცებულებები, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარის ან ასოციაციის კანონიერი უფლებები, იმიჯი ან/და საქმიანი რეპუტაცია ნამდვილად შეილახა და რომ ეს საფუძველს იყო მოკლებული.

#### მუხლი 10 თანამშრომლობის

##### ინიცირება

1. მხარეები ამ ხელშეკრულების ფარგლებში, ასოციაციის გამგეობას შუამდგომლობისათვის მიმართავენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული მიმართულებით თანამშრომლობის სურვილის შესახებ;
2. თანამშრომლობის ინიციატორი შესაძლებელია იყოს ასოციაციის პრეზიდენტი, ასოციაციის გამგეობის შუამდგომლობით ან ამის გარეშე;
3. მხარეები ვალდებულნი არიან, გონივრულ ვადებში განახორციელონ რეაგირება ინიციატივაზე, განაცხადონ თანხმობა, ან გააგზავნონ დასაბუთებული უარი თანამშრომლობის შესაძლებლობის თაობაზე;
4. ასოციაციის გამგეობა აღრიცხავს ინიციატივებს და მათზე რეაგირებას.

მუხლი 11  
წინამდებარე ხელშეკრულების დეპოზიტარი

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის გამგეობა წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დეპოზიტარს.

მუხლი 12  
ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ასოციაციის გამგეობის მიერ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მინიმუმ 10 წევრის ამ ხელშეკრულებასთან მიერთების შესახებ წერილობითი მიმართვის მიღების თარიღიდან პირველსავე სამუშაო დღეს;
2. ასოციაციის გამგეობა უზრუნველყოფს ძალაში შესული ხელშეკრულების დაუყოვნებლივ საჯარო გამოქვეყნებას ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
3. ხელშეკრულება მოქმედებს უვადოდ.
4. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე გაუქმდეს 2018 წლის 12 ივნისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მუხლი 13  
ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა მხარეთა წერილობითი თანხმობით;
2. მხარე ვალდებულია ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია დააფიქსიროს წერილობით, გამგეობაში მისი გაგზავნის გზით, შესაბამისი მოთხოვნის საკონტაქტო ელ-ფოსტაზე გაგზავნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოზიციის დაუფიქსირებლობა ჩაითვლება თანხმობად.
3. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება კონსენსუსის გზით, ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 14  
ხელშეკრულების მოქმედი რედაქცია

1. ხელშეკრულების მოქმედი რედაქცია გამოქვეყნებულია ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
2. ხელშეკრულებას თან ერთვის კონკრეტული თარიღისათვის მისი ხელმომწერი მხარეების სია;

მუხლი 15  
ხელმომწერი მხარის მიერთება ან ხელშეკრულებიდან გასვლა

1. ხელმომწერი მხარის ხელშეკრულებასთან მიერთება ან ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება ასოციაციის წევრის გამგეობისათვის გაგზავნილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე;
2. დეპოზიტარი შესაბამისი კორესპონდენციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ხელშეკრულების ხელმომწერი მხარების სიის განახლებას და განახლების ბოლო თარიღის მითითებით განათავსებს მას ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. ახლად მიერთებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელშეკრულება ძალაში შედის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით განახლებული სიის გამოქვეყნების მომენტიდან;
4. ახლად მიერთებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლისათვის ხელშეკრულება ძალაში შედის მის მიერ ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან;
5. გარდა ამ მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია ასოციაციის წევრობის დაკარგვა/ასოციაციიდან გასვლა;
6. ხელშეკრულების მხარე ხელშეკრულებიდან გასულად ითვლება ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით განახლებული სიის გამოქვეყნების მომენტიდან;
7. დაინტერესებულ მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულების დეპოზიტარისაგან გამოითხოვოს ხელშეკრულების დამოწმებული ასლი, დროის მოცემული მომენტისათვის.
8. წინამდებარე ხელშეკრულებასთან მიუერთებლობა, ან მისი დატოვება ავტომატურად არ იწვევს ასოციაციის წევრობის შეწყვეტას.

#### მუხლი 16

#### ხელშეკრულების შედეგების გავრცელება

1. ამ ხელშეკრულების მოქმედების დადებითი შედეგები უნდა გავრცელდეს მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებზე;
2. მხარე არაა უფლებამოსილი ხელშეკრულების არაწევრ პირს მისცეს წვდომა ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეულ დადებით შედეგებზე. აღნიშნული უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ გამგეობას;
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამგეობა უფლებამოსილია განიხილოს მხარის პასუხისმგებლობის საკითხი.

#### მუხლი 17

#### დავების გადაჭრა

წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.



დანართი 1

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მრავალმხრივი ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სია

ბოლო განახლების თარიღია: 2019 წლის 22 ოქტომბერი  
(ძალაში მყოფი ვერსია იხილეთ ვებ-გვერდზე [www.ccol.ge](http://www.ccol.ge))

N	დასახელება	მიერთების თარიღი
1.	შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია „SBA“;	13.06.2019
2.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა;	13.06.2019
3.	შპს ინტერბიზნესის აკადემია;	13.06.2019
4.	შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი;	14.06.2019
5.	შპს მარნეულის კოლეჯი;	14.06.2019
6.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N 1 სამედიცინო სასწავლებელი;	14.06.2019

7.	შპს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი;	14.06.2019
8.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი;	14.06.2019
9.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი;	14.06.2019
10.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია;	14.06.2019
11.	შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია	14.06.2019
12.	შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისი	17.06.2019
13.	შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო	18.06.2019
14.	შპს კოლეჯი „არსი“	18.06.2019
15.	შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“	18.06.2019
16.	შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA	18.06.2019
17.	შპს კოლეჯი ბარაკონი	18.06.2019
18.	შპს „ორიენტირი“	18.06.2019
19.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“	19.06.2019
20.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავალი	19.06.2019
21.	შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი	21.06.2019
22.	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა-პანსიონი	21.06.2019
23.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტი	21.06.2019
24.	საზოგადოებრივი კოლეჯი გეორგია	22.06.2019
25.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „Natali Academy“	22.06.2019
26.	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია	26.06.2019
27.	შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემია	28.06.2019

28.	შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი	20.07.2019
29.	შპს „კეონი აკადემია“	16.09.2019
30.	შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯი	19.09.2019
31.	შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა	23.09.2019
32.	შპს „თეგეტა აკადემია“	22.10.2019